ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N 20

ხელვაჩაური 18 ივლისი 2022 წელი

ერთის მხრივ მხრივ სსიპ - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ სალიბაურის №1 საჯარო სკოლა (შემდგომში „შემსყიდველი“), წარმოდგენილი დირექტორის მზიური შავაძის სახით და მეორეს მხრივ შპს ,,ივიჯი” (შემდგომში „მიმწოდებელი“), წარმოდგენილი დირექტორის ედნარ გელაძის სახით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის 1-ლი პუნქტის „ს“ ქვეპუნქტის საფუძველზე დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულებაში გამოყენებული ტერმინების განმარტებები

1.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ (შემდგომ „ხელშეკრულება“) - შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება მასზე თანდართული ყველა დოკუმენტითა და დამატებებით, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ;
1.2. „ხელშეკრულების ღირებულება“ – ხელშეკრულების ჯამური ღირებულება, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულების სანაცვლოდ;
1.3. „შემსყიდველი“ – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას;
1.4. „მიმწოდებელი“ – პირი, რომელიც ახორციელებს მომსახურების გაწევას მოცემული ხელშეკრულების ფარგლებში;
1.5. “დღე”, “კვირა”, “თვე” – კალენდარული დღე, კვირა, თვე;

2. ხელშეკრულების საგანი

1. წინამდებარე ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს შემსყიდველის დავალებით, შეთანხმებული ანაზღაურების სანაცვლოდ, მიმწოდებლის მიერ შემდეგი სახის მომსახურების გაწევა: პრინტერის შეკეთების მომსახურება (კლასიფიკატორის (CPV) კოდი 50532400)
2. ,,შემსყიდველი“ კისრულობს ვალდებულებას მიიღოს მოთხოვნილი მომსახურეობა და გადაიხადოს მისი ღირებულება ხელშეკრულებით გათვალისწინებული წესით.

3. ხელშეკრულების ღირებულება

2.1. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს 100 (ასი) ლარს.
2.2. ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს, როგორც მომსახურების ღირებულებას, ასევე, წინამდებარე ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებით მიმწოდებლის მიერ გაწეულ ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

4. მომსახურების მიღება – ჩაბარება

3.1. მომსახურება ან მისი ნაწილი ჩაითვლება მიღებულად მიღება-ჩაბარების აქტის წარმოდგენის შემდეგ.

5. მომსახურების მიწოდების ვადა

4.1. მომსახურების მიწოდება განხორციელდება ხელმოწერის დღიდან 2022 წლის 28 ივლისის ჩათვლით.

6. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

5.1. **შემსყიდველი** ვალდებულია უზრუნველყოს მიწოდებული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში მიმწოდებლის მიერ მიღება-ჩაბარების და შესაბამისი დასკვნების წარდგენის შემდეგ არაუგვიანეს 10 სამუშაო დღისა.
5.2 მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

7. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის.

6.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში, მხარეებს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0,02%-ის ოდენობით.
6.2. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეებს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

8. ანგარიშსწორება

7.1 ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ხორციელდება მიმწოდებლის მიერ მიღება-ჩაბარების და შესაბამისი დასკვნების წარდგენის შემდეგ არაუგვიანეს 10 სამუშაო დღეში.
7.2. ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით.
7.3. ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ლარებში.

9. დაუძლეველი ძალა

მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია აუცდენელი დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.

10. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

11. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის დღიდან და ძალაშია 2022 წლის 31 დეკემბრამდე.

12. სხვა პირობები

ხელშეკრულება შედგენილია ორ თანაბარ იურიდიული

13. მხარეთა რეკვიზიტები

შემსყიდველი:
სსიპ - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის
სოფელ სალიბაურის №1 საჯარო სკოლა
საქართველო, ხელვაჩაური
სოფელი სალიბაური
ს/კ 248386811
ს.ს. „ტერა ბანკი
მფო KSBGGE22
ა/ა GE97KS0000000004154066

მიმწოდებელი:
შპს ,,ივიჯი“
6000, საქართველო, ქალაქი ბათუმი
(მის. ჭავჭავაძის #66)
ს/კ 245439271
ს.ს. „პროკრედიტ ბანკი“
მფო MIBGGE22
ა/ა GE17PC0033600100022868

მზიური შავაძე
დირექტორი

ედნარ გელაძე
დირექტორი

EVG Ltd
Digitally signed by EVG Ltd
Date: 2022.07.18 14:15:12 +04'00'

დანართი 2022 წლის 18 ივლისის ხელშეკრულება N 20 დანართი #1

მომსახურების დასახელება	ზომის ერთეული	რაოდ.	ერთეულის ფასი	საქონლის ფასი	CPV
პრინტერის შეკეთება	ცალი	1	100,00	100,00	50532400
			∑	100,00	

ინტერესთა კონფლიქტის არარსებობის შესახებ წერილობითი დადასტურება

ხელვაჩაური, სოფ. სალიბაური

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის პირველი ნაწილის „გ“ და „ე“, მე- 4 ნაწილის მოთხოვნათა შესაბამისად, სსიპ - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ სალიბაურის №1 საჯარო სკოლის დირექტორის მ/შ მზიური შავაძე და დასაქმებული - ნარგიზ კახაძე ვადასტურებთ, შერჩეულ მიმწოდებელთან - შპს ,,ივიჯი“ (ს/კ 245439271) არ ვიმყოფებით ინტერესთა კონფლიქტში.

შენიშვნა: პირს ექნება ინტერესთა კონფლიქტი მიმწოდებელთან, თუ მათ შორის არსებობს საქართველოს საგადასახადო კოდექსის მე-19 მუხლით გათვალისწინებული ურთიერთობები, კერძოდ: მუხლი 19. ურთიერთდამოკიდებული პირები

1. ურთიერთდამოკიდებულ პირებად ითვლებიან ის პირები, რომელთა შორის განსაკუთრებულ ურთიერთობათა არსებობამ შეიძლება გავლენა მოახდინოს მათი ან მათ მიერ წარმოდგენილი პირების საქმიანობის პირობებზე ან ეკონომიკურ შედეგებზე.

2. განსაკუთრებულ ურთიერთობებს მიეკუთვნება ურთიერთობები, რომელთა დროსაც:

ა) პირები არიან ერთი საწარმოს დამფუძნებლები (მონაწილეები), თუ მათი ჯამური წილი არანაკლებ 20

პროცენტია;

ბ) ერთი პირი პირდაპირ ან არაპირდაპირ მონაწილეობს მეორე პირ საწარმოში, თუ ასეთი მონაწილეობის წილი არანაკლებ 20 პროცენტია;

გ) პირი ახორციელებს საწარმოს კონტროლს;

დ) ფიზიკური პირი თანამდებობრივად ექვემდებარება სხვა ფიზიკურ პირს; ე) ერთი პირი პირდაპირ ან არაპირდაპირ აკონტროლებს მეორე პირს;

ვ) პირებს პირდაპირ ან არაპირდაპირ აკონტროლებს მესამე პირი;

ზ) პირები ერთად, პირდაპირ ან არაპირდაპირ აკონტროლებენ მესამე პირს;

თ) პირები ნათესავები არიან;

ი) პირები ამხანაგობის წევრები არიან

შემსყიდველი

მიმწოდებელი